უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №44

20/8წ. "28" 06

ქ.თბილისი

შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[2]-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56[4]-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) გაუუქმდეს ავტორიზაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი).
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №07 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი